პ რ ო ე ქ ტ ი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №

2023 წლის ---- ივლისი

ქ. წყალტუბო

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 10173.0 კვ. მ. მიწის ნაკვეთის საკ. კოდი # 29.08.32. 531 (ცენტრალური საფეხბურთო მოედნის მიმდებარედ არსებული ხელოვნურსაფარიანი სათადარიგო სტადიონი) და 4677.0 კვ.მ. მიწის ნაკვეთის საკ. კოდი #29.08.32.532 (ცენტრალური საფეხბურთო მოედნის მიმდებარედ) ა(ა)იპ „ წყალტუბო არენა"-სთვის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 24 ივლისის 48-482320534 წერილი, რომელშიც ითხოვს თანხმობას წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 10173.0 კვ. მ. მიწის ნაკვეთის საკ. კოდი # 29.08.32. 531 (ცენტრალური საფეხბურთო მოედნის მიმდებარედ არსებული ხელოვნურსაფარიანი სათადარიგო სტადიონი) და 4677.0 კვ.მ. მიწის ნაკვეთის საკ. კოდი #29.08.32.532 (ცენტრალური საფეხბურთო მოედნის მიმდებარედ) ა(ა)იპ „ წყალტუბო არენა"-სთვის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 122-ე მუხლის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა მუნიციპალიტეტის მერს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 10173. 0 კვ. მ. მიწის ნაკვეთის საკ. კოდი # 29.08.32. 531 (ცენტრალური საფეხბურთო მოედნის მიმდებარედ არსებული ხელოვნურსაფარიანი სათადარიგო სტადიონი) და 4677.0 კვ.მ. მიწის ნაკვეთის საკ. კოდი #29.08.32.532 (ცენტრალური საფეხბურთო მოედნის მიმდებარედ) ა(ა)იპ „წყალტუბო არენა"-სთვის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ.
2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას .
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

მოამზადა

მეორადი სტრუქტურული ერთეულის

ხელმძღვანელი მ. ბერაძე

შეთანხმებულია

კომისიის თავმჯდომარე რ. დიდავა

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY

წერილის ნომერი: **48-482320534**
თარიღი: **24/07/2023**

ადრესატი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ თეიმურაზ ჭეიშვილს

ბატონო თეიმურაზ,

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიაში შემოვიდა ა(ა)იპ ,,წყალტუბო არენას'' დირექტორის 2023 წლის 21 ივლისის N22 წერილი, რომელიც ითხოვს უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაეცეს, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 10173.0 კვ.მ. მიწის ნაკვეთი საკ.კოდი N 29.08.32.531 (ცენტრალური საფეხბურთო მოედნის მიმდებარედ არსებული ხელოვნურსაფარიანი სათადარიგო სტადიონი) და 4677.0 კვ.მ. მიწის ნაკვეთი საკ. კოდი N 29.08.32.532 (ცენტრალური საფეხბურთო მოედნის მიმდებარედ).

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 122–ე მუხლის შესაბამისად, გთხოვთ მოგვცეთ თანხმობა ა(ა)იპ ,,წყალტუბო არენას'' უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაეცეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 10173.0 კვ.მ. მიწის ნაკვეთი საკ.კოდი N 29.08.32.531 (ცენტრალური საფეხბურთო მოედნის მიმდებარედ არსებული ხელოვნურსაფარიანი სათადარიგო სტადიონი) და 4677.0 კვ.მ. მიწის ნაკვეთი საკ. კოდი N 29.08.32.532 (ცენტრალური საფეხბურთო მოედნის მიმდებარედ).

პატივისცემით,

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

საქართველო, 5400, წყალტუბო, რუსთაველის ქ. N25, ტელეფონი (+995)595 95 90 72;
ელ-ფოსტა: tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge, ვებ-გვერდი: www.tskaltubo.gov.ge
Georgia 5400 Tskaltubo, Rustaveli st.N25; Phone: (+995)595 95 90 72; E-mail:
tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge; Website: www.tskaltubo.gov.ge

წყალტუბოს მუნიციპალიტეტი
არასამეწარმეო(არაკომერციული) იურდიული პირი
,,წყალტუბო არენა“

კოდი 421268014 5400 ქალაქი წყალტუბო, 26 მაისის ქუჩა № 2

№ 22 21 ივლისი 2023 წელი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ გენადი ბალანჩივაძეს

ბატონო გენადი.

გთხოვთ ა(ა)იპ „წყალტუბო არენას“ უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადმოგვცეთ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთებიდან # 29.08.32.531 საკადასტრო კოდზე მდებარე 10173.00 კვ/მეტრი მიწის ნაკვეთი ((ცენტრალური საფეხბურთო მოედნის მიმდებარედ ხელოვნურსაფარიანი სათადარიგო სტადიონი) და #29.08.32.532 საკადასტრო კოდზე მდებარე 4677.00 კვ/მეტრი მიწის ნაკვეთი (ცენტრალური საფეხბურთო მოედნის მიმდებარედ).

ცნობისათვის - აღნიშნულ ხელოვნურსაფარიან სტადიონზე ვარჯიშობს და ეროვნული ჩემპიონატის კალენდარულ მატჩებს ატარებს შპს საფეხბურთო კლუბი წყალტუბოს სამგურალის სათადარიგო და ასაკობრივი ლიგის გუნდები. ასევე რადგან ბავშვთა გუნდების რაოდენობა გაზრდილია, დაგეგმილია მეორე სავარჯიშო სტადიონის მოწყობა ასაკობრივი ლიგის გუნდებისათვის.

პატივისცემით ა(ა)იპ ,,წყალტუბო არენას“

დირექტორი: ა. ვარდანიძე